ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

კვლევის მთავარი მიზანი იყო მოსახლეობაში არსებული დამოკიდებულებებისა და აღქმების კვლევა იმის გასაგებად, თუ რამდენად ინფორმირებულია ხალხი უსაფრთხოების სახელმწიფო სისტემის შესახებ, რამდენად დაცულად გრძნობს თავს და რა წარმოდგენა აქვს საზოგადოების სხვა ჯგუფების დაცულობის თაობაზე.

მოსახლეობა: საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წელი და ზემოთ), ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი). მონაცემები არის არამარტო ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი, არამედ მისი განზოგადება შესაძლებელია თბილისის, სხვა ურბანული სტატუსის მქონე დასახლებების, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზეც.

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა.

შერჩევის ზომა: 2,544 რესპონდენტი

გამოპასუხების რაოდენობა: 30.5%

გამოკითხვის მეთოდი: პლანშეტის მეშვეობით პირისპირი გამოკითხვა (CAPI).

ინტერვიუს ენები: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული

საველე სამუშაოების თარიღები: მაისი 27, 2022 - ივლისი 3, 2022.

შედეგები შეწონილია.